

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების
მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას

გვინდა მოგახსენოთ, რომ მესტიის მუნიციპალიტეტში ელექტრომომარაგების კუთხით არსებული ნეგატიური სურათი არ შეცვლილა და კვლავ პრობლემატური რჩება აღნიშნულ განაწილების არეალში საიმედო ელექტრომომარაგების, ქსელის სარეაბილიტაციო/სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელებისა და გამანაწილებელ ქსელთან ახალი მომხმარებლების მიერთებების საკითხები, რაც გამოწვეულია აღნიშნულ განაწილების არეალში არსებული საყოფაცხოვრებო მომხმარებლების მიერ ელექტროენერჯის საფასურის გადაუხდელობით და ელექტროენერჯის მოხმარების არაგონივრული ზრდით, რომლის თაობაზეც მიმდინარე და გასულ წლებში გეცნობათ კომპანიის არაერთი წერილით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ დღეის მდგომარეობით, კვლავ ადგილი აქვს განსაკუთრებულ ობიექტურ გარემოებას, რომელიც ხელს უშლის განაწილების ლიცენზიატს გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლების მიერთების/სიმძლავრის გაზრდის უზრუნველყოფის სამუშაოების შესრულებაში, კერძოდ, კომპანიისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, დღეის მდგომარეობით მესტიის მუნიციპალიტეტში კვლავ მოუგვარებელია არსებული პრობლემები, კომისიის 2021 წლის 28 ივნისის #19 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის გამანაწილებელი ქსელის წესების“ მე-18 მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე მოგმართავთ თხოვნით, გაზარდოთ დანართში მითითებული ობიექტების გამანაწილებელ ქსელზე მიერთების/სიმძლავრის გაზრდის უზრუნველყოფის პერიოდები.

თუმცა, აქვე გაცნობებთ, რომ თუ ამ წერილში მითითებული პრობლემები ვერ მოგვარდა ზემოხსენებულ ვადაში, დანართში მითითებული ობიექტებისათვის ქსელზე ახალი მიერთების/სიმძლავრის გაზრდის უზრუნველყოფის სამუშაოების შესრულება შეუძლებელი იქნება, რის გამოც, კიდევ ერთხელ გთხოვთ, გაგვიწიოთ დახმარება ზემოაღნიშნული პრობლემების გადაჭრაში.

ამასთანავე მოგახსენებთ, რომ რაოდენობიდან გამომდინარე, წერილის მატერიალური ფორმის ნაცვლად კომპანია უზრუნველყოფს განმცხადებლებთან მოკლე ტექსტური შეტყობინებებისა და შესაბამისი ლინკის (სადაც შესაძლებელია წერილის ელ. ვერსიის ნახვა) მეშვეობით სათანადო ინფორმაციის მიწოდებას.


გთხოვთ, განიხილოთ მოცემული საკითხი და მიიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

დანართი: 1 (ერთი) "Excel" ფაილი.

პატივისცემით,

ილია მათიაშვილი

სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს წარმომადგენელი



შემსრ.: ლაშა ფოფხაძე
ტელ: 577-35-10-11;

#	განცხადის #	პროექტის დასახელება	მეორეების ტიპი	მაგვის საფუძველი	სიმძლავრე	განცხადის მიღების თარიღი	ქველზე მეორეების მიღების თარიღი	სერვისის გადამდებელი მეორეების თარიღი	Identification #:	Phone	Contact Address
1	8942023	ი.მ. ანგა, ჭავჭავაძე	ახალი მეორეება	0.38	30	04.08.2022	28.10.2022	01.06.2023	22001015157	598145869	მესტია სოფ. ჯორჯაკალი
2	8960087	შპს "ვითი საქართველო"	ახალი მეორეება	0.38	10	14.09.2022	09.12.2022	01.06.2023	204450584	597970134	მესტიის რაიონი; მესტიის საცდელ უბანი, კვარტალი 35, დი
3	8964334	შპს "სუფთა საბო"	ახალი მეორეება	0.22	10	26.09.2022	21.12.2022	01.06.2023	202458893	598368360	მესტიის რაიონი; დაბ. მესტია, ბეთლემის ქუჩა N1
4	8972251	სსიპ "გარემოს ეროვნული სააგენტო"	ახალი მეორეება	0.22	10	17.10.2022	11.01.2023	01.06.2023	204559691	577380100	მესტიის რაიონი; სოფ. ბეჭო, "მზური"
5	8972256	სსიპ "გარემოს ეროვნული სააგენტო"	ახალი მეორეება	0.22	10	17.10.2022	11.01.2023	01.06.2023	204559691	577380100	მესტიის რაიონი; სოფ. ვიხანა
6	8982461	შპს "ლილაძე"	სიმძლავრის გაზრდა	0.38	50	07.11.2022	02.02.2023	01.06.2023	435894427	595502031	მესტიის რაიონი; დაბ. მესტია, ადგილი "კახიანი"
7	8999603	ი.მ. ზესიკ ხერვათი	ახალი მეორეება	0.22	10	19.12.2022	17.03.2023	01.06.2023	30001000286	571174939	დაბ. მესტია, მარგინის ქუჩა
8	9002929	ი.მ. ვახტანგ ფორცხელაძე	ახალი მეორეება	0.38	10	28.12.2022	28.03.2023	01.06.2023	30001000957	591816164	მესტიის რაიონი; სოფ. ლაჩუჭვი
9	9051381	მესტიის მუნიციპალიტეტის მერა	ახალი მეორეება	0.38	30	26.04.2023	21.07.2023		235895046	599181285	მესტიის რაიონი; სოფ. ლახანი
10	9056842	ვახილი ნაგვიანი	ახალი მეორეება	0.38	10	10.05.2023	04.08.2023		62007013520	599155560	დაბ. მესტია, ბორის ახიანის #49